# ვულოცავ გურიას და სრულიად საქართველოს შობა-ახალ წელს, დამდეგ კალანდას!



ახალი წელი სიახლის, იმედის და სიხარულის მომტანია, ვისურვებდი, რომ ეს მუხტი მთელი წლის განმავლობაში გაჰყვეს თითოეულ თქვენგანს. 2018 წელი რეგიონისთვის მნიშვნელოვანი ცვლილებების, ბევრი პრიორიტეტული პროექტის განხორციელების პერიოდი იქნება და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. გაგრძელდება ყველა ის პროექტი, რომელიც უკვე დაწყებულია გურიის რეგიონში. ჩემო გურულებო, საუკეთესო სურვილებით გილოცავთ ახალ 2018 წელს, გისურვებთ თქვენი ოჯახების კეთილდღეობას,წარმატებას და უკეთესი მომავლის რწმენას!

(დ) პატივისცემით: გურიის გუბერნატორი **მერაბ ჭანუყვაძე**

# ძვირფასო ოზურგეთელებო! სიყვარულით გილოცავთ შობა-ახალ წელს!



მშვიდობისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს ახალი 2018 წელი სრულიად საქართველოსთვის!

ჩემო ოზურგეთლებო, თქვენ განსაკუთრებული სიყვარულით გილოცავთ! გისურვებთ ხვავს, ბარაქას, სიკეთითა და სიხარულით სავსე დღეებს.

პატივისცემით, **დავით დარჩია**
(დ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე


# ა ლ ი ო ნ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 51 (10245) 27 დეკემბერი, 2017 წ. ფასი 50 თეთრი.



## ჩვენი მეკვლეა ქართული ბენტონიტური თიხის მწარმოებელი შპს „ასკანგელ ალიანსი“



## „ასკანგელ ალიანსი“: მრავალ ბედნიერ შობა-ახალ წელს!



(რ)





## მაღაზია „ნეპტუნი“ გილოცავთ შობა–ახალ წელს და დამდეგ კალანდას! (რ)


## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე

– ცვლილებები ქალაქ ოზურგეთის მერიის 2017 წლის ბიუჯეტში;

– ცვლილებები საკრებულოს კომისიების პერსონალურ შემადგენლობაში;

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2018 წლის რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტები.

▶▶▶ გვ-3

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2 ლარი,**
**სამი თვით – 6 ლარი,**
**6 თვით –12 ლარი,**
**ერთი წლით – 24 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



**დაიწყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**


# მასწავლებლის ღია ბარათი განათლების მინისტრ ბატონ მიხეილ ჩხენკელს

ვფიქრობ, ამჯერად გაუმართლა ქართულ საზოგადოებას

გილოცავთ!

დამეთანხმებით, სიდუხჭირე, სულიერი თუ მატერიალური კრიზისი, გაუცხოება, შიში და ძრწოლა, ყოველი გაუცნობიერებლის გაუაზრებლობა, ჩემი აზრით, წიგნიერების, განათლებულობის უკმარობით აიხსნება.

უფალი შეგეწიოთ „გონება-გახსნილი, გულ-განათლებული თაობის“ აღზრდისათვის საჭირო გზების ძიებისას!

მძიმე ტვირთია.

თუ უწიგნურნი მომრავლდებიან საზოგადოებაში, „გონებაჩვილნი“ მმართველობაშიც გამოერევიან და ქვეყანა დაღმა დამავალ კიბეს დაემსგავსება.

ვიცი, უამრავი საქმე-საზრუნავი გაქვთ, მაგრამ, გთხოვთ, ერთხელ კიდევ გადახედოთ, რამდენად სწორად მიმდინარეობს სისტემის ოპტიმიზაცია, უსამართლოდ ხომ არ მოექცნენ ე. წ. **LT** - მენეჯერებს, რომლებმაც თავის დროზე წარმატებით გაიარეს კონკურსი და სასკოლო რეფორმის გარიჟრაჟზე, პროფესიონალიზმით, საქმის ცოდნით, დიდი ჯაფითა და გულწრფელი ენთუზიაზმით, არარასაგან შექმნის სასკოლო კომპიუტერული ქსელი?..

**LT** - მენეჯერები შორეული სოფლების სკოლებში დადიოდნენ, თითქმის ყოველდღე ასეული კილომეტრის გავლა უწევდათ - ამოწმებდნენ და უზრუნველყოფდნენ ქსელის გამართულობას...

მათ უკან ოჯახები დგას.

ერთი მათგანი ჩემი შვილია.

წარმოიდგინეთ მდგომარეობა მძიმე სენით შეპყრობული მოხუცი მასწავლებლისა, რომლის ერთადერთი შემოსავალი შვილის წვით მოპოვებული მწირი ხელფასია.

მაგრამ მაშინ დაცულად ვგრძნობდი თავს, არ მეშინოდა...

მერე, როცა ვიხილე „რუსთავი-2-ის“ ეთერში **LT** - მენეჯერები პლაკატებით უსამართლობას აპროტესტებდნენ, თვალებში შუქი ჩაქრობოდათ, მარტონი იყვნენ, არავის აინტერესებდა მათი ბედი...

„ნუგეშის ჭიატი“ მომესპო...

აღარც ხე, ტრუმენ კეპოტის პერსონაჟების სულის თავშესაფრადქცეული, თუნდაც მეტაფორული...

აღარც გურამ დოჩანაშვილის დომინიკოს უტკბესი სიტყვები: „ვიღაცას ვუყვარვარ!..“

აღარც ღვთისმშობლის ჩურჩული: „რაი არს, რაი გელმის?..

სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?..“

**კლარა ( ტატა) გურგენიძე,**
*სნეული პენსიონერი მასწავლებელი.*
*2017 წელი, გიორგობისთვის 23, ოზურგეთი.*

***P.S.*** ..და თუ ე. წ. **LT** - მენეჯერები სწორედ ის „მცოდნე, გულ-განათლებული“ თაობაა, რომელსაც შეუძლია ქვეყნის პროგრესის დაჩქარება?

- სისტემური პრობლემა თუ კერძო შემთხვევა?

- ქრესტომათიული ამონარიდები საფიქრალ-სააზროვნოდ მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებს... განსაკუთრებით მათ, ვისაც ხელეწიფების ქვეყნისა და ადამიანების ბედის მართვა:

„..ქვეყანას მცოდნე, გულ-განათლებული, გონება-გახსნილი თაობა იხსნის“.

„თუ ამასაც არ მოვუარეთ და ვუპატრონეთ, რაღა კაცნი ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“ (ილია);

„აწ ჩვენთან არს ხორციელი კეთილ და თქვენთან არს სულიერი კეთილი და ესე შევზავეთ ურთიერთს“ გიორგი მერჩულე);

„... ვინცა ქმნა თიხა ჭურჭლადა, რას უძღვნის ხელფასადაო,

ვით რემა ხნარცვს არ ჩავარდეს, ულაგმო და უსადაო“(დავით გურამიშვილი);

„... მაძღარი კაცი მომყმარს პურს წვრილად უფშვნეტდა და ზედ დაჰყვედრიდა: რა ღორულად სჭამო!“

„... აწ ყოველთა გლახაკთა, ულონოთა და მდაბალთა ჭირნი მისწავლებია და ამის შემდგომად ნახეთ თქვენცა, რა არის სასწავლო მის“(სულხან-საბა) და ა. შ.

ლეონი და მენტორები

მემკვიდრის (მომავალი ხელმწიფის წვრთნის ლეონისეული მეთოდების (მსახურთა და მწდეთა ჭირი, გლახაკთა და უქონელთა წესი, ფეხშიშველ მარეკთა ტკივილი...) წილ თანამედროვე მასწავლებლებმა მომავალ სახელმწიფო მოღვაწეებს შეიძლება მარტივად შესთავაზონ თუნდაც ჩემი უბადრუკი „საცხოვრისი“, სიღატაკით, გადასახადებით, ბანკის ვალითა და 180 ლარით...

მაშინ გაიგებენ, ქვეყნის მმართველს იმისთვის კი არ ირჩევს ხალხი, ღვთის შეწევნით, რომ მხოლოს პირადი ცხოვრება აიწყონ, ოდენ ნათესავ-მეგობრებს, ე. წ. მხარდამჭერებს გაუმართონ ხელი, არამედ ორმოში ჩაგდების ნაცვლად „ხნარცვიდან“ ამოიყვანონ თუნდ ე. წ. **LT**-მენეჯერები და მსგავსნი...

ეს ე. წ. ტესტური თამაში ანრი მიშოს სიურეალისტურმა და ფანტასმაგორიულმა ჩანახატებმა შთამაგონეს - „მე დამესიზმრა, რომ მეძინა, მაგრამ მე სულაც არ მეშლებოდა, მე ხომ ვიცოდი, რომ გამეღვიძა მანამდე, სანამ გავიღვიძებდი და რომ მეძინა, „გავიხსენებდი“.

დიახ, ასე იცვლება ეს ძილ-ღვიძილი კვლავ უძილობით... ახალი წლის დამდეგს მაინც დავივიწყოთ, რომ გვეძინა, ვუსმინოთ ბეთლემელ ყრმას: „იღვიძებდეთ ჩემთანა“, დავიჯეროთ დომინიკოს ნანინანატრი - „ვიღაცას ვუყვარვარ“, დავდგეთ წმინდა დირესთან და ჩვენსავე სიღრმეში ვიპოვოთ საიდუმლო გზა შეცნობა-გადარჩენისა:

„...ზამთარი მიდის, წელი ახალი დგას წმინდა ქოხის წმინდა დირესთან, ბრწყინავს სამყაროს 1-ლი წელი, რომლის დადგომა ბავშვმა ინება“.

# საია და სამართლიანი არჩევნები თვითმმართველი ქალაქების გაუქმებას უარყოფითად აფასებენ



**ალიონი.** 2017 წლის 15 მაისს, 7 თვითმმართველ ქალაქსა და 7 სათემო მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გაერთიანების წინადადებით მიმართა, რის შემდეგაც, საკრებულოებმა დაჩქარებული წესით, რიგგარეშე სხდომებზე მოიწონეს სამინისტროს წინადადება. ამის პარალელურად, რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას არ ჩაუტარებია ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციები, რაც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ აუცილებელი მოთხოვნაა. ამის მიუხედავად, მთავრობის ინიცირების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 15 ივნისის დადგენილებით 7 თვითმმართველი ქალაქი გააუქმა. საქართველოს ახალგაზრდა იურისტმა ასოციაციისა და სამართლიანმა არჩევნების მიერ კვლევის შედეგად მომზადდა ანგარიში, სადაც წარმოდგენილია 7 თვითმმართველი ქალაქისათვის (ოზურგეთი, ზუგდიდი, გორი, ახალციხე, ამბროლაური, მცხეთა, თელავი), თვითმმართველი ერთეულის სტატუსის ჩამორთმევასთან დაკავშირებული პროცესების სამართლებრივი ანალიზი და რეკომენდაციები.

–კვლევის თანახმად დადგინდა, რომ 7 თვითმმართველი ქალაქისათვის სტატუსის ჩამორთმევასთან დაკავშირებით ხელისუფლების არგუმენტები არ შეესაბამებოდა ამ ქალაქებში არსებულ რეალობას და დასაბუთება მოკლებული იყო საგნობრივ მსჯელობას. მაგალითად, მთავრობას არ წარმოუდგენია კონკრეტული დასაბუთება, თუ რის საფუძველაზე აცხადებდა, რომ არ გაუმჯობესებულა მოქალაქეთა ჩართულობა, სერვისების ხარისხი და მათზე ხელმისაწვდომობა. გარდა ამისა, არგუმენტი, რომ მუნიციპალიტეტების გაყოფის შედეგად არ გაზრდილა შემოსავლები, სინამდვილეს არ შეესაბამება – თელავის, ზუგდიდის, ოზურგეთისა და გორის ბიუჯეტის ანალიზი საპირისპიროს ამტკიცებს. რაც შეეხება სხვა არგუმენტაციას ადმინისტრაციული ხარჯების გაორმაგების, ხარჯვის ეფექტიანობის გაუარესებისა და სხვა საკითხების შესახებ, ამ შემთხვევაშიც, მთავრობას სათანადოდ დადასტურებული ინფორმაცია არ წარმოუდგენია – აღნიშნავს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე **სულხან სალაძე.**

წარმოდგენილ არასამთავროებს მიაჩნიათ, რომ ამ პროცესმა წარმოქმნა მმართველობითი ხასიათის პრობლემები. 15 ივნიის პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების აგვისტოს ბოლოს ამოქმედებით, ამ პერიოდისათვის არსებულმა 14 თვითმმართველმა ერთეულმა (საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა) არსებობა შეწყვიტა და აგვისტოს ბოლოდან შეიქნა 7 გაერთიანებული მუნიციპალიტეტი. აქედან გამომდინარე, გაუქმებული მუნიციპალიტეტების ორგანოები –საკრებულოები, მერები და გამგებლები, შესაბამისი ადმინისტრაციებით, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე არსებობდნენ. ასევე, წარმოიქმნა საბიუჯეტო პრობლემები, რადგან აგვისტოს ბოლოსათვის მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონში ისევე არსებობდა 14 მუნიციპალიტეტისთვის ცალ-ცალკე გათვალისწინებული გათანაბრებითი ტრანსფერი, რომელთა მიღებასა და ადმინისტრირებაზე უფლებამოსილი საჯარო სამართლის იურიდიული პირები – მუნიციპალიტეტები აღარ არსებობდნენ. –აღნიშნულია კვლევაში.

კვლევის შედეგად გამოკვეთილი პრობლემების საფუძველზე, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და სამართლებრივ არჩევნებს მიაჩნიათ, რომ უნდა მოხდეს მცირე და საშუალო ზომის ქალაქების ურბანულ ცენტრებად ჩამოყალიბების მხარადაჭერა, რაც შექმნის ადამიანის განვითარებისათვის საჭირო სხვადასხვა სივრცეს და მოსახლეობის ერთ ადგილზე კონცენტრაციას ხელს შეუწყობს.

## რ. დევიძის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირში

**ალიონი.** 15-17 დეკემბერს ქალაქ ქუთაისში ჩატარდა როლანდ დევიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში წარმატებით იასპარეზე ქალაქ ოზურგეთის ნაკრები გუნდის ფალავნებმა. გუნდმა გუნდიდან წარმატებას მიაღწიეს: 59 კგ წონით კატეგორიაში – ტურნირის გამარჯვებული ნიკა შიუკაშვილი; 32 და 47 კგ წონით კატეგორიებში მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლები დათმეს ლუკა ჯავახაძემ და დათა ურუშაძემ; 23 და 35 წონით კატეგორიებში მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს ლუკა კილაძემ და ლუკა ბენდელიანმა. გუნდის მწვრთნელები – კახა აბაშიძე და თენგიზ მუჯირი.

## კრივი



18-19 დეკემბერს ქ. ბათუმში ჩატარდა რაზმიკ პეტროსიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი სასპორტო სკოლის ღია პირველობა კრივში არაასაკობრივ ჯგუფში.

აღნიშნული ღონისძიებაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ნაკრები გუნდიდან 2002-2005 წლებში დაბადებულთა შორის ჩემპიონები გახდნენ: 46კგ წონით კატეგორიაში – გიორგი ხითაროვი, 51კგ წონით კატეგორიაში – რომა აბესაძე; მეორე ადგილი დაიკავეს: 40კგ წონით კატეგორიაში –– გივი გობრონიძემ, 42კგ წონით კატეგორიაში– ოთარ აბესაძემ. 2006-2009 წლებში დაბადებულთა შორის ჩემპიონები გახდნენ: 27კგ წონით კატეგორიაში– საბა ხურცილავა, 47კგ წონით კატეგორიაში – დემეტრე გორგოშიძე; დაიკავა. 60 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა გიორგი გოგელიამ. მწვრთნელი – იულო საჯაია.

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხომაზე

**– ცვლილებები ქალაქ ოზურგეთის მერიის 2017 წლის ბიუჯეტში;**
**– ცვლილებები საკრებულოს კომისიების პერსონალურ შემადგენლობაში;**
**– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2018 წელს რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტები.**



**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22 დეკემბრის რიგგარეშე სხდომაზე ცვლილებები და დამატებები შეიტანეს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის №24 დადგენილებაში.

მომხსენებლის, საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის გია მამაკაიშვილის მიერ სხდომაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციების მიხედვით გაიზარდა ბიუჯეტის შემოსავლები:

შემოსულობა, საქონელი და მომსახურების რეალიზაცია – 217,9 ათასი ლარით, მათ შორის: შემოსულობა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან – 217,9 ათასი ლარით.

შესაბამისად შევიდა ცვლილებები ბიუჯეტის ხარჯებში: საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა შემცირდა 70,8 ათასი ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდა); ბინათმშენებლობა – 50.4 ათასი ლარით (სხვა ხარჯების მუხლი); კეთილმოწყობის სამუშაოები – 52,2 ათასი ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდა); ა(ა)იპ ისტორიული მუზეუმის სუბსიდია – 11,0 ათასი ლარით; ა(ა)იპ კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის სუბსიდია – 5,5 ათასი ლარით; ვეტერანთა დახმარების პროგრამა – 3,0 ათასი ლარით.

ბიუჯეტის ხარჯები სულ შემცირდა 192,9 ათასი ლარით.

შესაბამისად დაკორექტირდა ბიუჯეტის ხარჯები:

ქალაქ ოზურგეთის მერია – გაიზარდა 11,6 ათასი ლარით (საქონელი და მომსახურება); გარე განათება – 13,1 ათასი ლარით (საქონელი და მომსახურება); დასუფთავების ღონისძიებები – 99,3 ათასი ლარით (სუბსიდია); კომუნალური მომსახურების ცენტრი – 49,5 ათასი ლარით; სკოლამდელი განათლების დაფინანსება – 98,0 ათასი ლარით (სუბსიდია); ა(ა)იპ რაგბის განვითარების კავშირი – 59,9 ათასი ლარით; ა(ა)იპ საფეხბურთ კლუბი „მერცხალი“ – 21,1 ათასი ლარით; ა(ა)იპ ცენტრალური ბიბლიოთეკა – 1,0 ათასი ლარით; ა(ა)იპ კულტურისა და დასვენების პარკი – 3,2 ათასი ლარით; ა(ა)იპ მუსიკალური სკოლა – 6,4 ათასი ლარით; შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა – 6,1 ათასი ლარით (სოციალური უზრუნველყოფა); C ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსება – 7,7 ათასი ლარით (სოციალური უზრუნველყოფა); მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა – 0,9 ათასი ლარით (სოციალური უზრუნველყოფა); უსახლკაროთა დარჩენილი ოჯახების დახმარება ბინის ქირით – 8,9 ათასი ლარით; ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება – 9,3 ათასი ლარით; მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა – 1,5 ათასი ლარით (სოციალური უზრუნველყოფა); განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა – 13,1 ათასი ლარით (სუბსიდია), კერძოდ, საქველმოქმედო ასოციაცია გურიის დაფინანსებისათვის.

ცვლილებები შეიტანეს: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №8 განკარგულებაში; „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №20 განკარგულებაში; ასევე „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №22 განკარგულებაში.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ, მოიწონეს და მიიღეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2018 წელს რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტები.

# საახალწლო მილოცვები



გურიის რეგიონის პენსიონერთა კავშირის გამგეობა ულოცავს ყველა პენსიონერს, მათ ოჯახებს ახალი წლის შემობრძანებას!

ულრმესი პატივისცემით,
**გურამ ცერცვაძე.**

**სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ოზურგეთის სერვის ცენტრი გილოცავთ შობა-ახალი წლის შემობრძანებას**



# საჩვენებელი ღია აქტივობა ლაითურის №1 საბავშვო ბაღში



**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის №1 საბავშვო ბაღში ჩატარდა სასკოლო მზაობის ჯგუფის ღია აქტივობა. აქტივობას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებების სასკოლო მზაობის ჯგუფის აღმზრდელ-პედაგოგები. ღია აქტივობა მოეწყო სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მეთოდისტის ნაილი გრძელიძის ინიციატივით.

ღია აქტივობის მიზანია თამაშით სწავლება და ამ გზით აღსაზრდელთა სასკოლოდ მომზადება, რასაც შესაბამისი პროგრამის გათვალისწინებითა და აღსაზრდელებთან კომუნიკაციით შესანიშნავად გაართვა თავი აღმზრდელ-პედაგოგმა იზოლდა აბულაძემ.

როგორც „ალიონთან“ საუბარში ნაილი გრძელიძემ განაცხადა, სასკოლო მზაობის პროგრამის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ბავშვს მომავალი ცხოვრებისათვის წარმატებულ მოქალაქედ ფორმირებაში, მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან პოზიტიურიურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ცხოვრებისათვის საჭირო უნარების განვითარებაში მოამზადოს ბავშვი პირველი კლასის მოსწავლისადმი არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის, შეუქმნას ბავშვს ინტერესი სწავლისა და შრომისადმი.

„სწორედ ეს ღია აქტივობა (თემა – ჩემი უბანი, ქვეთემა – პროფესიები) შეუწყობს ხელს აღსაზრდელებს, ბავშვობიდანვე გაითავისონ ექიმის, მზარეულის, სტილისტის, მხატვრისა და სხვა პროფესიები.

როგორც ვნახეთ, ახალგაზრდა აღმზრდელი იზოლდა აბულაძე თავისი აქტიურობით, ქცევის მანერით, საუბრის ტონით, შეიძლება ითქვას, უკვე მაღალი პროფესიონალიზმით წარმატებულად ახერხებს ბავშვებს შორის პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, სთავაზობს მათ თანამშრომლობის მრავალფეროვან გზებს, განაწყობს აღსაზრდელებს ყველა პროფესიისადმი პატივისცემით“, – აღნიშნა ცენტრის მეთოდისტმა.

ნაილი გრძელიძის თქმით, მთლიანად ცენტრში მუშაობს 21 სასკოლო მზაობის ჯგუფი 461 აღსაზრდელით, 3-ჯერადი უფასო კვებით. სასკოლო მზაობის 35-მდე აღმზრდელ-პეაგოგმა აიმაღლა კვალიფიკაცია და მიიღო შესაბამისი სერთიფიკატი.

ამ საჩვენებელი ღია აქტივობის ეს მოკლე რეზიუმე კი სათანადო ადგილს დაიკავებს ლაითურის №1 საბავშვო ბაღის ისტორიაში:

ლაითურის №1 საბავშვო ბაღი
5-6-წლიანთა სამზაო ჯგუფი
ღია აქტოვობა: თემა – ჩემი უბანი, ქვეთემა – პროფესიები

ექიმები: **ნინა აბულაძე, ნინო დიასამიძე, ანდრო თავართქილაძე**

პაციენტი: **ანრი აბაშიძე**

მზარეულები: **გვანცა ხოზრევანიძე, ქრისტინა ბაკურიძე, თათია ბაკურიძე, საბა ბათაძე, ლუკა ბერიძე**

მხატვრები: **ზურა აბაშიძე, ალეკო ქარცივაძე, ნიკა ბერიძე, დაჩი სურმანიძე და მარი ქუთათელაძე**

სტილისტები: **თამუნა კაბულაშვილი, დიეგო შაინიძე** – „კლიენტი“; **ლიზი შაინიძე, ანა სურმანიძე, ლუიზა შავაძე** – „ვიზაჟისტი“, **თიკა მგელაძე** – „კლიენტი“.

აღმზრდელი მასწავლებლები: ი**ზო აბულაძე, ალა კარანაძე;**

აღმზრდელის თანაშემწე: **ნინო გაზაშვილი,** მუსიკის მასწავლებელი **ნ. გაბეჩავა;** საბავშვო ბაღის მენეჯერი – **ხათუნა ჟუმბურიძე.**

„ციცხალი-live"- 8

# „ცხოვრების გაკვეთილები" ფოთოლა არობელიძისაგან

## „სხვისი ბედნიერებით თუ ხარობ, შენც ბედნიერი იქნები"



**30 წელიწადი იმუშავა ციხისფერდის რვაწლიან სკოლაში, ფიზიკასთან ერთად ადამიანობაც ასწავლა, დადგა დრო და მოიკითხა შედეგი. თუმცა „ციცხალმა" ის მასპინძლად იმიტომ აირჩია, რომ თბილისში, სვანეთის უბანში, ფოთოლა არობელიძის უკვე ცნობილი „მინიგარდენია" ენახა.**

ქალბატონმა ფოთოლამაც არ დაახანა მიპატიჟება. გვიან შემოდგომაზე მოასფალტებული ქუჩიდან მოასფალტებულ ეზოში შესვლისთანავე შემოგეგებათ „მინიგარდენია": - მოსაწვევი ბანერი, ღიმილიანი თოჯინები, ნაყოფიანი ჯუჯა ბროწეული, აყვავებული ჯუჯა ვარდი, გურული ეთნოგრაფიული მინატურული კუთხე, პწკალიანი ნალიითა გოდორ-გიდლებით, შემოდგომის სამსართულიანი ნატურმორტი ეზოში მოწეული ხილითა და ბოსტნეულით, ქალბატონი ფოთოლას ხელით დამზადებული ჩირით, დუმფარის ყვავილებით ხელოვნურ, ციცქნა აუზში... მეზობლის აგურის კედელზე კი, რომელიც ღობის ფუნქციასაც ითავსებს, როგორც ქალბატონი ფოთოლა ამბობს, „საბჭოური გამონაშთები" ჩამწკრივებულა. კედლის ექსპონატები საკუთარი ისტორიის მატარებელია, ბევრი მათგანი შემოწირულობა გახლავთ: —მეჩაიის ქუდი, რომელიც 40 წლის წინ ეხურა სკოლის შრომით სემესტრზე, ჩაის როცა კრეფდა ბავშვებთან ერთად, სახლიდან წამოღებული მაგიდის პოლონური ტელეფონი, მაშინ მოდური, ახლა უზარმაზარი... ნომერიც ახსოვს მაშინდელი, კოპე, გიდელი, გოდორი, ყანწი, დედის ხელშენარები კეცის გადმოსაფერთხი ცოცხი, კერიის ჯაჭვი, ბებოს, კარდალა და ქვის კეცი, თუნუქის, სპილენძის, ფაიფურის ჭურჭელი, ნახშირის უთო, ლამპა, დისკიანი (საბჭოეთში „პლასტინკას" ვეძახდით) ფირსაკრავი, გუგულიანი საათი, რკინის პინებიანი სასწორი, ჩაის „სახუჭი" მაკრატელი, ხის გიტარა, ქალბატონების გულნარა მგელაძის, აზა ცელაძის, დალი სალუქვაძის ნაჩუქარი „სამოვარი", საბეჭდი მანქანა, ჩონგური. ფოთოლას „საბჭოეთს" ამშვენებს შვილის დიდი აკვანი, რომელიც საგანგებოდ აჭარაში დაუმზადებიათ, მუქი ფერის, საიდანაც თვალს იტაცებდა და ახარებდა თეთრი, შავთვალა პაწია, დედიკოს ბებიამ წერტილად რომ მონათლა მოფერებით...

„მუზეუმის" გვერდით ბინადრობს ჩინური შინდი, ყვავილოვანი მირონის ხე, ლეღვის ჩეროში შეხვედრების მაგიდა ყოფილ მოსწავლეებთან. ჯუჯა ჰორტენზები, მრავალმოსავლიანი მარწყვი, და იქვე ბოსტანი სალათით, მწვანილით, ბოლოკით, ნიორით, ხახვით. იქვე მინიკარია ანუ საქათმე...

ქალბატონ ფოთოლას ჩემოდნებში, სათამაშოებსა და ფეხსაცმელებშიც ჩაურგავს მცენარეები, ბაღს კი „მინიგარდენია" დაარქვა და ამბობს, რომ ზურა შევარდნაძის გავლენის ქვეშაა. ჰოდა, ჩუღურეთის რაიონში ამ რაიონის დეპუტატმა, ქალბატონმა რიმა ბერაძემ ეზოების კონკურსი გამოაცხადა და პრიზიორი ქალბატონი ფოთოლას „მინიგარდენია" გახდა. - ასე შეიკრა ოზურგეთელთა იმპროვიზებული კავშირი ამ სტატიაში. :)

ქალბატონი ფოთოლას ისტორია კი ასეთია:

**ფოთოლა არობელიძე:** „ - *ექვსი წელიწადია აქ ვცხოვრობ, 2003 წელს წამოვედი ოზურგეთიდან, ჩემი ვაჟი თბილისში დასაქმდა და ცოლქმრის დაშორებას ვამჯობინე ჩემი წვალებით, ქალობით შექმნილი სახლის გაყიდვა. გვიჭირდა, შემდეგ ეს ეზოიანი სახლი შევიძინეთ და მეც დავიწყე ეზოს მოკაზმვა. დედას ძალიან ლამაზი ეზო ჰქონდა. მეკვიდრებით გადმომეცა ყვავილების სიყვარული. ახლაც, თვეში ორ დღეს ოზურგეთში ვატარებ და ეზოს ვალაგებ. დედის კვალს და სახელს ვინახავ მის ეზოში. ბალახის საჭრელი მანქანა მაქვს და ოზურგეთიდან თბილისში და პირიქით დავატარებ.*

*გამიხარდა ძალიან, ეზოების კონკურსში გამარჯვება. ქალბატონ რიმა ბერაძეს შევახსენე, რომ 1987 წელს ოზურგეთში ვიყავი ქალთა საბჭოს თავმჯდომარე და გავაკეთეთ ლენინის ქუჩის ზეიმი. ახლაც ვამბობ, რომ ლენინის ქუჩელი ვარ, თუმცა დღიხანია მერაბ კოსტავას ქუჩაა. ერთნაირად შევღებეთ ღობეები, შევათეთრეთ ხეები. დედაჩემის ეზომ გაიმარჯვა. ამ ეზომ გამომაჩინა და ცხოვრება გამილამაზა.*

*მცენარეებთან ურთიერთობა ჩემთვის ჰობზე მეტია, მთელი სიცოცხლეა. დილის 5-6 საათზე გამოვდივარ... ჩემი პაწია შვილთაშვილივით ვეფერები და ვზრდი ყვავილებს, მოლის ბალახს. მყავს ორი შვილიშვილი და შვილიშვილის შვილი. პატარა ციცქნა სარწყავით, თოხითაც მეხმარება, თუმცა უჩუმრად ონავრობს კიდეც ბაღში. ორი წლის წინ ჯანმრთელობის პრობლემა მქონდა და ეს ბაღი ძალიან დამეხმარა, გადამარჩინა შრომამ, სიყვარულმა, სილამაზემ...*

**— შრომა ადრე დაიწყეთ?**

- 22 წლისამ დავიწყე სკოლაში მუშაობა, თან უმაღლეს სასწავლებელში ვსწავლობდი პარალელურად. ჩვილი ბავშვი მყავდა. მიყვარდა ჩემი საქმე. სუსტებს მინიმალურის ათვისებას ვკერდებოდი, ძლიერებს - ხელს ვუმართავდი, ბათუმსა და თბილისში ტურებსა და ოლიმპიადებზე დამყავდა. ერთ-ერთი მაშინდელი ოლიმპიადის გამარჯვებული, დღეს საუკეთესო პედაგოგის ტიტულის მფლობელი პედაგოგია, ნაირა ქავთარაძე. მაშინ ასეთ ღონისძიებებზე რვაწლიანი სკოლები პასიურობდნენ, გამონაკლისი მე ვიყავი. ძალიან მახარებდა მოსწავლეებთან ერთად წასვლაც და გამარჯვებაც. დილაუთენია გავყვებოდით ბათუმში მატარებელს...

ციხისფერდის რვაწლიან სკოლაში ვასწავლიდი ფიზიკას, მათემატიკას, ხაზვას, გახანგრძლივებულ ჯგუფს, მოსწავლეების აღზრდას დიდ დროს ვუთმობდი, დედაჩემი კი ჩემს ვაჟს მიზრდიდა. სიხარული და სიყვარული მაჩუქა იმ წლებმა და ახლა ვხვდები, რომ არა მარტო მე, ბავშვებსაც. ბევრი ჩემი მოსწავლე უკვე ბებია-ბაბუაა, მაგრამ ჩემთვის მაინც ბავშვები არიან.

- შეიძლება ბავშვს ფიზიკა არ სცოდნოდა, მაგრამ შევაძლებინებდი მას სცოდნოდა ელემანტარული, მაგ. ნიუტონის კანონი, ჰქონოდა მოწესრიგებული რვეული. მთავარი ადამიანობაა. მინდოდა მესწავლებინა სიყვარული, ურთიერთპატივისცემა. ექსკურსიაზე ხშირად დავდიოდით ერთად, ვსაუბრობდით ადამიანურ ურთიერთობებზე.. მიხარია, რომ ყოფილი მოსწავლეები მახასიათებენ როგორც მომთხოვნ, მკაცრ და მოსიყვარულე ადამიანს. მსიამოვნებს, ჩემს ჩაცმულობას, სიკოხტავესაც რომ იხსენებენ. ახლა მოვიმკე ჩემი მოსწავლეებიდან ეს ზღვა სიყვარული, არ ველოდი ასე თუ იქნებოდა."

**გიზო კინწმარიშვილი,** ინჟინერი: „ მეექვსე კლასში ვიყავით ფოთოლა მასწავლებელი რომ გავიცანი. გაზაფხულივით შემოანათა ახალგაზრდა, ლამაზმა, ჭრელკაბიანმა და დაუზარელმა ჩვენმა მასწავლებელმა და აგვიყოლია. დღეს მეგობრები ვართ და დღესაც ჩვენი შეხვედრების ლიდერია."

**ნაირა ქავთარაძე,** ფიზიკა-მათემატიკის პედაგოგი: „ - ფოთოლას გავლენით ვარ პედაგოგი, ფიზიკოსი. მეგონა თუ მის პროფესიას ავირჩევდი, მას დავემსგავსებოდი. ფოთოლა არის სული და გული, ვულკანი, მოყვარული და ლიდერი. მისი დამოკიდებულება ბავშვებთან იყო იშვიათი მაშინდელ დროში, მეგობრობდა წიგნებს გვჩუქნიდა, გვირჩევდა."

ლამაზმა ეზომ ქალბატონი ფოთოლა ყოფილი მოსწავლეების შეხვედრების ორგანიზატორად აქცია. პირველად თავის ლამაზ ბაღში მოიწვია ისინი, შემდეგ ოზურგეთში შეკრება. ის ამ პაემნებს „ცხოვრების გაკვეთილებს" უწოდებს. აქ არის ჟურნალში სიის გამოკითხვა, ირეკება ზარი, „ჩამჭრელი" შეკითხვები ცხოვრებისეული გზის, შვილებისა და შვილიშვილების შესახებ. ჟიურიც და სიურპრიზი პრიზების ავტორიც ფოთოლა მასწავლებელია. თქვენ წარმოიდგინეთ, აქაც ყველა წახალისებულია.

მეც გავხდი მოწმე ერთი ასეთი შეხვედრის, სიყვარულითა და სასიამოვნო სიურპრიზებით გაჯერებული საღამოს, რისთვისაც მადლობელი ვარ ფოთოლა მასწავლებლისა და მისი მოსწავლეების, რომელთაც მთავარი გაკვეთილი შესანიშნავად უსწავლიათ - ეს ადამიანობაა, სხვისი გახარების სურვილი და უნარი.

„სხვისი ბედნიერებით თუ ხარობ, შენც ბედნიერი იქნები"- ამბობს ქალბატონი ფოთოლა. ყოფილ მოსწავლეებთან მარინა შეწირულთან და მაია მუჯირთან საქველმოქმედო აქციაშიც ჩაერთო. ეს მათი ინიციატივაა. სხვისი გახარების ნიჭი - ეს ხომ ფოთოლას გაკვეთილია სკოლის კედლებშიც და მის მიღმაც.

ამავე პრინციპით უშურველად გასცემს თავის გამოყვანილ ნერგებს: „ - მიყვარს ნერგების გაცემა, გაცვლა, სწავლება, სხვისთვის დახმარება რომ სხვამაც შექმნას ეს სიმწვანე, სილამაზე. მიხარია მეც თუ გამინაწილებენ თავიანთ ნარგავებს.

ჩემს ეზოში მთელი წლის მანძილზეა ყვავილები. ორი ათეული სახის მარტო ქრიზანთემაა, ზოგიც თოვლს ხვდება აყვავებული, 23 იანვარს შვილიშვილის დაბადების დღესაც ყვავის. თებერვალში უკვე იები, ყოჩივარდები აყვავდებიან. ეს მახალისებს, ბუნებასთან ურთიერთობა დიდი სტიმულია. იგი პრობლემების დაძლევაში მეხმარება."

პრობლემებზე კი არ ვსაუბრობთ. ნურავინ წარმოიდგენს, რომ მისი ინიციატივები უპრობლემო ცხოვრებიდანაა. ეს არის ფოთოლა არობელიძის, რომლისთვისაც სახელი ზუსტად შეურჩევიათ მშობლებს, მთავარი ძალა: მას უყვარს სილამაზე სამყაროსა და ადამიანის ბუნებაში, უყვარს ფოთოლიცა და ბალახიც, მცირე და დიდი სიხარულიც, უყვარს ყველა გათენებული დილა, დღე, რომელსაც თანაბრად უყოფს ადამიანებსაც და თავისი მინიგარდენიის ბინადართ. მინიგარდენია კი თანდათან იზრდება და მასპინძლის ბინაშიც ჰყავს თავისი მსტოვრები და მრავალი სტუმრის გულსა და მწვანე კუთხეშიც. ასეთია ფოთოლა და მინიგარდენია, თუ ერთხელ მიგილო, სულ შენთანაა.

**ლია კილაძე**

ვიდეოვერსია იხილეთ: **https://www.facebook.com/liaontheair/videos/140103259966324/**

# ძველი ოზურგეთის ქრონიკები

## ქალაქის ბაღები

### მთავრის ბაღი



მამია V გურიელი ყოველი მოწინავე სიახლის და საჭირო და სასარგებლო წამოწყებას ხელს უწყობდა.ამის მაგალითია გურიაში ევროპული ტიპის მეურნეობის შექმნა.ამ საქმის ინიციატორი იყო შოტლანდიელი აგრონომი იაკობ მარი, რო-მელიც საქართველოში 1822წელს ჩამოვიდა ,როგორც ატვუდის სავაჭრო ფირმის წარმომადგენელი.(ამ ფირმას რუსეთის ხელისუფლებისაგან თბილისსა და ყულევში უბაჟოდ ვაჭრობის უფლება ჰქონდა მიმ-იჭებული. საქართველოში ნიკო მარს ვაჭრობამ არ გაუმართლა და ოჯახითურთ გურიაში დარჩენა გადაწყვიტა)

მარს ძალიან მოსწონებია გურიის ბუნებრივი პირობები,იგი დარწმუნებული იყო,რომ ამ მხარეში ევროპულად მოწყობილ მეურნეობას კარგი შემოსავლის მიცემა შეეძლო. იაკობ მარმა გურიელს სთხოვა გურიაში დასახლების ნება მიეცა და საცდელსანიმუშო მეურნეობის შექმნაში დახმარებოდა .გურიელმა მას რამდენიმე ქცევა მიწა უბოძა,ერთხანს ლანჩხუთში ცხოვრობდა,შემდეგ კი სოფელ დაბლაციხეში დასახლდა და მეურნეობის მოწყობას შეუდგა, სცადა რამისა და ინდიგოს მოყვანა,ყირიმიდან ვაზის ნერგები გამოიწერა და მოაშენა ამავე დროს იგი ადგილობრივი მაღლარი ვაზის დაყენების წესის გაუმჯობესებას შეუდგა.

„იაკობ მარმა ოზურგეთში საფუძველი ჩაუყარა" მთავრის ბაღს" ,რომელშიაც უცხო და იშვიათი მცენარეები იყო გაშენებული"მთავრის ბაღი" შემდეგ ვორონცოვის მეფის ნაცვალეობის დროს (1844-1854წწ) გაფართოვდა და საყოველთაო მოწონებას იწვევდა, მაგრამ იგი რუსეთ-თურქეთის (1853-1856 წწ) ომის დროს შემოსეულმა თურქებმა გაანადგურეს".( ქვ.ჩხატარაიშვილი „გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან" თბ.1885წ.გვ.58)

ოფიციალური ცნობით ი.მარმა მამია გურიელის სიცოცხლეშივე მოიპოვა საყოველთაო სიყვარული და ნდობა,ხოლო თავის მეურნეობით ამ სასარგებლო გავლენას ახდენდა. იაკობ მარი გურიაში დასახლების შემდეგ გაეყარა პირველ ცოლს ესპანელ ქალს და მოგვიანებით გურული ქალი ნიკო მარის დედა აღათი მაღულარია შეირთო.

ოზურგეთის ბაღი-იგივე „ მთავრის ბაღი" თედო სახოკიას თავის „მოგზაურობაში" აქვს აღწერილი :„ არს ოზურგეთში ეგრეთ წოდებული ქალაქის ბაღი,როგორც ამბობენ კავკასიის მთავარმართებელის ვორონცოვის დროს გაშენებული ,ადრე ეს ბაღი მდიდარი ყოფილა სხვადასხვა ჯიშის მცენარეებით.შესანიშნავია ეს ბაღი იმითაც,რომ აქ პირველად დაარგვევინა ვორონცოვმა ქ.ოდესიდან გამოწერილი ვაზის „იზაბელას", ჯიში, რომელსაც,მერე „ადესა" დაერქვა, ალბათ, იმიტომ ,რომ ქ.ოდესიდან მოუტანიათ, მერე მთელს გურიაში გავრცელებულა ეს ვაზი .გარნა დღეს კი ძველი დიდების მოსაგონებლად ამ ბაღში სამიოდე ჭადარი ,ერთი ფიჭვი და სამიც ურთხელის მსგავსი ხე სხვა უბრალო ხეები და მსხალია.ამ ხეებს შემთხვევითი ხასიათი აქვს,რუს-ოსმალოს ომის დროს შიგა მდგარა და ხეები აუჩეხიათ. მერე უპატრონოთ დარჩენილი ქალაქის პატრონთ (დეპუტატებს) თვითონ ბაღის ადგილის გაყიდვისათვის მიუყვიათ ხელი.კვადრატული მხარი ხუთ შაურად იყიდებოდა თურმე.ახლაც გვიჩვენებენ აქაურნი ძველი ბაღის ჭადრებს კერძო მეპატრონეთა ეზოებში.აწინდელი ბაღის სამხრეთ მხარეს. იმ ბაღისაგან, რომელსაც ადრე ? ოთხკუთხა კილომეტრი ჰქონია სივრცე ახლა 5-6 დღიური თულაა დარჩენილი. ამ ბაღში ორი ხის შენობაა. ერთ მადგანში ზაფხულობით ქალაქის კლუბი გადმოაქვთ.ბაღის ადგილზევეა ოზურგეთის საქალებო სასწვლებელი .თვითმართველობა ქალაქისა ცდილობს ამ ბაღს ცოტა რიგიანი,სახე მისცეს და მართლა ბაღს დაამსგავსოს, რომ ერთ დროს მაინც ოზურგეთელებს ერთი საზოგადო თავშესაფარებელი ადგილი ჰქონდეთ ზაფხულობით". (თ.სახოკია „ მოგზაურობანი," ბათუმი ,1987წ.გვ.30-31)

„მთავრის ბაღი მამია V გურიელის დროიდან(1809-1826) მოკიდებული ყოველთვის იყო ოზურგეთლების თავშეყრის საყვარელი ადგილი,სადაც იმართებოდა მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებანი. ბაღში იმართებოდა სახალხო სეირნობები,სამხიარულო თამაშობები,საქველმოქმედო მხიარული „ალეგროები".ერთ-ერთიასეთი ღონისძიების შესახებ გაზეთი „თანამედროვე აზრი" იუწყებოდა: „ოზურგეთის სახალხო სამკით-ხველოს გამგეები 22 მაისს აწყობს დიდ სახალხო სეირნობას სამკითხველოს სასარგებლოდ ,პროგრამა ძლიერ ში-

►►► გვ-7

# მიზანში „სათამაშო პისტოლეტითაც“ არტყამენ

**თემურ მარშანიშვილი**

როგორც „ალიონის“ წინა ნომერში ვიუწყებოდით, ოზურგეთში, სოფელ გურიანთაში, კონკრეტულად კი კულტურის სახლში, სადაც ჩვენი თეატრი თავისი შენობის კაპიტალური რესტავრაციის დამთავრებამდე ბინადრობს, 15 დეკემბერს „სათამაშო პისტოლეტი“ „გაისროლეს“ და რადგან ამ „გასროლას“ ჯერჯერობით თეატრმცოდნეთა რეაგირება არ მოჰყოლია, სულუხსრობაში თუ არ ჩამომართმევთ, როგორც რიგითი მაყურებელი, რამდენიმე სიტყვით შევეხმიანები პრემიერას, რომელიც ნამდვილად შედგა.

წერილის ექსპოზიციაშივე უნდა აღვნიშნო, თამარ ბართაიას ეს პიესა იმდენად კარგი „ინგრედიენტია“, რომ მისგან გემრიელი ნახელავის მიღება სიურპრიზი არ უნდა იყოს, მაგრამ ნანახი რომ მოლოდინს გადააჭარბებს, კიდევ ერთხელ ნახვისა და აღქმის სურვილს აღგიძრავს, ამას რა სახელი მოვუძებნო, მართალი გითხრათ, არ ვიცი. სამაგიეროდ, ვიცი და შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი დინამიკური სპექტაკლებით შექმნილი დიადემა ნამდვილად მოუხდება თეატრს, რომელიც მალე საუკუნენახევრიან იუბილეს იზეიმებს.

სპექტაკლში ორმაგი დატვირთვა ჰქონდა ვახტანგ ჩხარტიშვილს „სათამაშო პისტოლეტი“ მის ხელში იყო პირველი რეჟისორული ნამუშევარი ოზურგეთის თეატრში, ამავე დროს, იგი განასახიერებდა ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს. ჩემი აზრით, მან, როგორც დებიუტანტმა, რეჟისურას კარგად გაართვა თავი, ხოლო იო, (იგივე იორამი) ერთ-ერთი საუკეთესო სახეა მაღლით აღმავალ მის სამსახიობო კარიერაში.

**ვახტანგ ჩხარტიშვილი:** *„თამარ ბართაიას „სათამაშო პისტოლეტი“ რომელშიც საქართველოს ბოლო 30-35 წლის რეალური ისტორია ჩანს, ძირითადად სიყვარულის თემაზეა და მას, რომ იტყვიან, მიზიდულობის ძალა აქვს. გათვლა იმაზეც გავაკეთეთ, რომ ჩვენთან წარმატებით ხორციელდება პროექტი „თეატრი და სკოლა“. შეიძლება ჩემგან ცოტა უხერხული იყოს ამის თქმა, მაგრამ, რომ არ ვთქვა და მადლიერება არ გამოვხატო, არ ვიქნები მართალი: დარბაზის რეაქციით თუ ვიმსჯელებთ, მაყურებელი თავიდან ბოლომდე სპექტაკლში იყო შესული, რაც იმას ნიშნავს, რომ დაინტერესდა და, რაც მთავარია, მიიღო სპექტაკლი.*

*სპექტაკლზე მუშაობისას ჩემი გმირი ისე შემიყვარდა, შევეცადე, ყველაფერი ჩამედო მასში. მაგრამ, ჩემი აზრით, აქ მთავარი მაინც ჩემი პარტნიორი* ***მარი ხანთაძე*** *იყო, რომელმაც არაჩვეულებრივად ითამაშა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს მარის სპექტაკლია, მორგებულია მასზე.*

*როგორც ახალბედა რეჟისორს, ძალიან ბევრი საინტერესო და საჭირო რამ მითხრა და გამაკეთებინა ჩვენი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ბატონმა* ***ვასო ჩიგოგიძემ.*** *აქვე მინდა, მადლობა ვუთხრა მხატვარ* ***გია გვიჩიას,*** *სასცენო მოძრაობის დიდოსტატ* ***მარიკა ქვეითაიას,*** *მუსიკალურ გამფორმებელ* ***გოგა მახარაძეს,*** *ტექნიკურ რეჟისორ* ***მაკა მამულაიშვილს,*** *რომლებიც თავიანთ სფეროებში ბოლომდე გაისარჯნენ. ვფიქრობ, ერთიანი ძალებით შევძელით, კარგი სპექტაკლი გამოგვსვლოდა. ისე, რაც უნდა კარგი სპექტაკლი გამოგივიდეს, სადღაც გულის კუნჭულში უკმარისობის გრძნობა ყოველთვის გრჩება. თუ მიიჩნიე, რომ ასი პროცენტით გააკეთე ყველაფერი, მაშინ უკვე ამოწურული ხარ“.*

რაც შეეხება ჩემეულ ხედვას მარი ხანთაძის როლზე: არ მინახავს და ვერ გეტყვით, ვინ და როგორ შეასრულეს სხვა თეატრებში მეა (იგივე მედეა), მაგრამ „უნახავში“ ჩამოვდივარ ფსონს, რომ მათ შორის მარი საუკეთესოა. ერთია, რომ სულსა და სხეულში დაიტიო ამდენი ტემპერამენტი და მეორეა, რომ ბოლომდე ნაყოფიერად, ვირტუოზული შემოქმედებითი პათოსით დახარჯო ის სცენაზე. აღარაფერს ვამბობ ფიტნესის იმ ელემენტებზე (შპაგატი, ხიდზე გადასვლა), რომლითაც მან საოცრად მოქნილი და ცეცხლოვანი შტრიხები შემატა თავისი გმირის ხასიათს. ახალგაზრდა მსახიობ ქალს აპლოდისმენტები არც წინა სპექტაკლებში აკლდა, მაგრამ იმ დღეს დარბაზში ყველა



მამაკაცი, ალბათ, მასზე იყო შეყვარებული. არც ქალბატონები სჩანდნენ გულგრილნი. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ წილად მხვდა ბედნიერება, თეატრის მიკროავტობუსით, მსახიობებთან ერთად, მემგზავრა ოზურგეთამდე და საკუთარი ყურით მომესმინა მარის თამაშით აღტაცებული ჩვენი სახელდებული მსახიობი ქალბატონების სიტყვები: „აი, როგორი გოგო გვყავს ჩვენ თეატრში!“

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვასო ჩიგოგიძის თქმით, მიზანში გარტყმა „სათამაშო პისტოლეტითაც“ შეიძლება:

„პირველ რიგში, მადლობა მაყურებელს, რომელმაც ასე თბილად მიიღო სპექტაკლი. ჩვენმა ახალგაზრდებმა დღეს ამ სცენაზე დაამტკიცეს, რომ მიზანში გარტყმა „სათამაშო პისტოლეტითაც“ შეიძლება, რომელიც სინამდვილეში სულაც არ არის სათამაშო და თანამედროვე ქართული დრამატურგიის ერთ-ერთი საყურადღებო ნაწარმოებია. იყო რაღაც უმნიშვნელო ხარვეზები, მაგრამ მთავარია, რომ მთლიანობაში კარგი საპრემიერო წარმოდგენა გამოგვივიდა და კიდევ უფრო მთავარია ის, რომ ჩვენი თეატრის საიუბილეო, 150-ე თეატრალური სეზონი განსაკუთრებულად შემოქმედებითია“.

# „ყველას უყვარს თავისი პროფესია, მაგრამ ბიბლიოთეკარებს – განსაკუთრებით“



***„ლეჩხუმელი ვარ, ლაილაშიდან. ბებიასთან და ბაბუასთან ვიზრდებოდი სოფელში. დედ-მამა კი თბილისში ცხოვრობდა. მერვეკლასელი თბილისში წამიყვანეს სწავლის გასაგრძელებლად. მახსოვს, დიღმის მასივში, 140-ე თუ 147-ე სკოლაში მიმიყვანეს, ხუთშაბათ დღეს დაიწყო მაშინ სწავლა. გაკვეთილებიდან დაბრუნებულმა ვთქვი, არ მომეწონა-მეთქი ეს სკოლა. მეორე დღეს, დეიდაჩემმა, საკმაოდ ცნობილმა პედაგოგმა მიმიყვანა 62-ე სკოლაში, სადაც თვითონ ასწავლიდა. მაშინ ამ სკოლას ბატონი გრიშა ონიანი დირექტორობდა. ეს სკოლაც დავიწუნე. სხვა რა გზა იყო, შაბათ დილით მამაჩემმა წამომიყვანა ისევ სოფელში. ვერ წარმოიდგენთ, როგორ შემხვდნენ მშობლიური სკოლაში თანაკლასელები და პედაგოგები, ჩემზე ნაკლებად არ უხაროდათ, რომ არ დავრჩი თბილისში“.***

**ადგილის დედაზე ასეთნაირად შეყვარებული და თბილისის დამწუნებელი ქალი მერე ოზურგეთელთა რძალი გახდა და 30 წელიწადია, უცვლელად ხელმძღვანელობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკას (ყოფილი ოზურგეთის საბიბლიოთეკო გაერთიანება).**

**„ალიონის“ სტუმარია ქალბატონი ლიკა ბაქანიძე**

**— ქალბატონო ლიკა, დამდეგ ახალ წელს გილოცავთ! ბაქანიძე საკმაოდ ცნობილი და სახელდებული გვარია. ბაქანიძეები, გურიის გარდა, საქართველოს სხვა რეგიონებშიც ცხოვრობენ. თქვენ სადაური ბაქანიძე ხართ?**

— მადლობთ, ბატონო თემურ. მეც გილოცავთ დამდეგს და ახალი წიგნის გამოცემასაც. რაც შეეხება ჩემს სადაურობას: ლეჩხუმელი ვარ, ლაილაშიდან. ბებიასთან და ბაბუასთან ვიზრდებოდი სოფელში. დედ-მამა კი თბილისში ცხოვრობდა. მერვეკლასელი თბილისში წამიყვანეს სწავლის გასაგრძელებლად. მახსოვს, დიღმის მასივში, 140-ე თუ 147-ე სკოლაში მიმიყვანეს, ხუთშაბათ დღეს დაიწყო მაშინ სწავლა. გაკვეთილებიდან დაბრუნებულმა ვთქვი, არ მომეწონა-მეთქი ეს სკოლა. მეორე დღეს, დეიდაჩემმა, საკმაოდ ცნობილმა პედაგოგმა მიმიყვანა 62-ე სკოლაში, სადაც თვითონ ასწავლიდა. მაშინ ამ სკოლას ბატონი გრიშა ონიანი დირექტორობდა. ეს სკოლაც დავიწუნე. სხვა რა გზა იყო, შაბათ დილით მამაჩემმა წამომიყვანა ისევ სოფელში. ვერ წარმოიდგენთ, როგორ შემხვდნენ მშობლიური სკოლაში თანაკლასელები და პედაგოგები, ჩემზე ნაკლებად არ უხაროდათ, რომ არ დავრჩი თბილისში. ეს იყო ჩემთვის რაღაც უდიდესი ბედნიერება. სხვათა შორის, ყოველდღიურად ოთხ კილომეტრს გავდიოდი ფეხით სკოლაში რომ მივსულიყავი, მაგრამ ასე მერჩია. ზამთარი იცის ლაილაშში მკაცრი და უხვთოვლიანი. არ მახსოვს, რომ სკოლა გამეცდინოს, ან გაკვეთილზე დამეგვიანებინოს.

**— თუ ძალიან ტრაფარეტული კითხვა არ გამოვა, პროფესია როგორ აირჩიეთ?**

— სკოლა როგორც კი დავამთავრე, ჩავაბარე პუშკინის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტზე. გულახდილად რომ გითხრათ, ამ ფაკულტეტზე თავიდან არ მიფიქრია, ფილოლოგიურზე ვაბარებდი, მაგრამ რატომღაც ჩავიჭერი. დამამშვიდეს, ბიბლიოთეკათმცოდნეობაზე ნაკლებია კონკურსი, ფაკულტეტის შეცვლა მერეც შეიძლებაო. არაჩვეულებრივი პიროვნების, გურამ ჩხაიძის რჩევით ბიბლიოთეკათმცოდნეობაზე შევიტანე საბუთები. რაც შეეხება კონკურსს, აღმოჩნდა, რომ ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტზე ერთ ადგილზე 56 აბიტურიენტი მოდიოდა, ფილოლოგიის ფაკულტეტზე კი — ორნახევარი აბიტურიენტი, მაგრამ ჩავირიცხე. შემდეგ კარგად ვსწავლობდი, გამორჩეული სტუდენტი ვიყავი, პირველ კურსზე შვიდ საგანში შვიდი ხუთიანი მივიღე. ინსტიტუტის რექტორმა, ქალბატონმა ნათელა ვასაძემ, შენნაირ სტუდენტებს ჩვენ ვეძებთო და უარი მითხრა გადასვლაზე, შენ ამ ფაკულტეტზე უნდა განაგრძო სწავლაო.

მოკლედ, დავამთავრე წითელ დიპლომზე. მეოთხე კურსის პირველ სემესტრში განაწილებით მოვხვდი ოზურგეთში. მანამდე ექსკურსიებით საქართველოს თითქმის ყველა კუთხე მქონდა მოვლილი, ოზურგეთში კი არ ვყოფილვარ. ეს იყო 1976 წელს. აქ გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე **გია თოთიბაძე** და გავხდი ოზურგეთელთა რძალი.

იმავე წელს დავიწყე მუშაობა მედიცინის მუშაკთა სახლში, პატარა ბიბლიოთეკა ჰქონდათ, უფრო სწორად, მე ავაწყვე ის ბიბლიოთეკა. მაშინ გაზეთშიც დაიწერა ამის შესახებ. პრაქტიკის პერიოდში ბიბლიოთეკათმცოდნეობის გოგონები ქალბატონ **მარიამ გორგოშიძესთან**, ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორთან ვცხოვრობდით სახლში. მან ბევრი იზრუნა ცენრალურ ბიბლიოთეკაში ჩემს გადასაყვანად, სადაც პირველად მუშაობა დავიწყე მბეჭდავ-ბიბლიოთეკარად, დიპლომიანი მბეჭდავი ვიყავი. წლების შემდეგ გავხდი წამყვანი ბიბლიოთეკარი, ვმუშაობდი დაკომპლექტების განყოფილების გამგედ და ბოლოს, ქალბატონი მარიამის რეკომენდაციით, 1987 წლიდან ვარ დირექტორი. ერთი სიტყვით, ქალბატონი მარიამის კადრი ვარ თავიდან ბოლომდე. საოცრად ვუგებდით ერთმანეთს. არ მახსოვს, რაიმე მეთქვას და გაეტარებინოს. იმასაც ამბობდა, პირს რომ გავაღებ, ლიკამ უკვე იცის, რა უნდა ვთქვაო.

**— თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, ქალბატონ მარიამთან მუშაობა დიდი სკოლის გავლა იყო. თქვენთან თუ გადიან ასეთივე სკოლას ახალგაზრდა ბიბლიოთეკარები?**

— ქალბატონ მარიამს ნამდვილად ვერ გავეჯიბრები. რაც შეეხება ჩემს ახალგაზრდა ბიბლიოთეკარებს, მათთან ზედმიწევნით კოლეგიალური დამოკიდებულება მაქვს, პროფესიონალები და ერთიმეორეზე უკეთესები არიან. საერთოდ, ყველას უყვარს თავისი პროფესია, მაგრამ ბიბლიოთეკარებს — განსაკუთრებით.

გემახსოვრებათ, ალბათ, ის ცუდი პერიოდი, როცა ყველა თურქეთში მიდიოდა, ან ბაზარში იდგა ლუკმაპურის ფულის საშოვნელად. სერგო პროზაშვილი გვყავდა, ეროვნული ბიბლიოთეკის თვალსაჩინო წარმომადგენელი, იმან იცოდა თქმა, არც ერთი ბიბლიოთეკარი არც თურქეთში წასულა სამუშაოდ და არც ბაზარშიო! შეიძლება ამაში ვინმემ ბიბლიოთეკარის უუნარობაც დაინახოს, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ჩემი კოლეგების მხრიდან უფრო წიგნისა და ბიბლიოთეკის თაროს მტვრის სიყვარულია.

**— თითქოს სიმბოლურია, რამდენადაც ვიცი, თქვენი და ბიბლიოთეკის ზოგიერთი საიუბილეო თარიღი გარკვეულწილად ემთხვევა ერთმანეთს.**

— მართლაც არის ზოგიერთი რამ თანხვედრაში. ოზურგეთის ტერიტორიაზე ბიბლიოთეკები მოიხსენიება 1894 წლიდან. 1902 წლამდე სოფლებში იხსნებოდა ქოხსამკითხველოები. 1902 წელს მეფის მთავრობას უთქვამს, რომ ბიბლიოთეკები რევოლუციონერთა თავშესაკრებიაო და ყველა ბიბლიოთეკა დაუხურავთ გურიის ტერიტორიაზე. სხვათა შორის, ამის შესახებ ცნობები თედო სახოკიას აქვს მოხსენიებული. შემდეგ, ბახვის ცნობილ მანიფესტში 17 თხოვნა არის. თუ კარგად მახსოვს, ამ 17 თხოვნიდან მესამე ადგილზე იყო თხოვნა ბიბლიოთეკების აღდგენასთან დაკავშირებით. 17-დან 5 თხოვნა მეფის მთავრობას შეუსრულებია და მათ შორის იყო ბიბლიოთეკების აღდგენა. 1904 წლის 5 სექტემბერს ბიბლიოთეკების აღდგენა დაიწყო ოზურგეთში, 1954 წლის 5 სექტემბერს კი მე დავიბადე. ჩემი და ბიბლიოთეკის დაბადების თარიღები 5 სექტემბერი ემთხვევა ერთმანეთს. რაც შეეხება წლოვანებას, როგორც გითხარით, პირველი ბიბლიოთეკა გაიხსნა 1894 წელს, ზუსტად 60 წლის შემდეგ დავიბადე მე. 2014 წელს ცენტრალური ბიბლიოთეკა გახდა 120 წლის, მე კი — 60 წლის. მაშინ ძალიან მინდოდა ამ თარიღის აღნიშვნა, მაგრამ მუნიციპალიტეტების დაყოფა დაემთხვა და ვერ მოხერხდა.

**— წინა კითხვის პასუხში თქვენ გურიაში ბიბლიოთეკების ისტორიას შეეხეთ. ვიცი, რომ კარგა ხანია მუშაობთ ამ თემაზე. როდის მიეცემა მკითხველს ამ ნაშრომის გაცნობის საშუალება?**

— წლეულს საერთოდ ვერ მოვიცალე ამ მასალებისთვის. აგერ სასკოლო ბიბლიოთეკები, რომელ წელს რა ხდებოდა, აგერ ლანჩხუთიც მქონია ამოწერილი, ბოხვაური, ლიხაური... თითქმის ყველა სოფლის ბიბლიოთეკების ისტორიები მაქვს გაზეთებიდან ამოღებული. 1947 წლიდან გვაქვს შემონახული გაზეთი „ლენინის დროშა“, დღევანდელი „ალიონი“, რომელშიც უხვადაა მასალები ბიბლიოთეკებზე. 1947 წლამდე მასალები არის არქივში, სადაც ჯერჯერობით ვერ მოვახერხე მისვლა. გვაქვს ასევე გაზეთების — „კვალის“, „ცნობის ფურცლის“, „ივერიას“ საწყისი ნომრები, რომლებშიც არის ინფორმაციები ოზურგეთის ბიბლიოთეკებთან დაკავშირებით. ამობეჭდილი მაქვს კატალოგი და ვფიქრობ, გარკვეული დროის განმავლობაში მომიწევს მუშაობა საჯარო ბიბლიოთეკაში. ეს ისტორია უნდა შევინარჩუნოთ.

**— გეთანხმებით და საამისოდ მზადყოფნას გამოთქვამს ჩვენი გაზეთიც. ახლა ვიცი, რომ დროში შეზღუდული ხართ, მეუღლითურთ, დედაქალაქს აპირებთ გამგზავრებას და საახალწლოდ შვილებისა და შვილიშვილების მონახულებას. ბოლო კითხვაც და დავამთავროთ: რამდენგზის ბებიაა ოზურგეთელთა ლეჩხუმელი რძალი ლიკა ბაქანიძე?**

— ოთხგზის ბებია ვარ. გვყავს ორი ქალიშვილი და ოთხი შვილიშვილი — ორი ბიჭი, ორი გოგო. ცხოვრობენ თბილისში. სიძეები მუშაობენ, ქალიშვილები საოჯახო საქმეებით არიან დაკავებული. შვილიშვილები სწავლობენ, უფროსი ბიჭი მეექვსე კლასშია, შემდეგ გოგო მოდის, რომელიც მეხუთე კლასში სწავლობს, ორი ნაბოლარა კი — მეოთხეკლასელია.

**— ბედნიერი ახალი წელი თქვენს დახუნძლულ ოჯახს.**

— მადლობთ, თქვენთვის და თქვენი გაზეთისთვისაც ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს 2018 წელი.

ესაუბრა

**თემურ მარშანიშვილი.**

# სამყაროს წარმოშობა

## წერილი მეექვსე

# სულისა და ღმერთის წარმოშობა

მენტალური პირველადი ელემენტებისაგან შექმნილ გუნდებს ფიზიკური ნაწილაკებისაგან უნდა შეექმნათ გარკვეული სხეულები და უნდა ემართათ ისინი. საამისოდ ყოველგვარი უნარი გააჩნდათ პირველადი მენტალური ელემენტებისაგან შექმნილ გუნდებს, რომლებიც დღეისათვის ჩვენს ცხოვრებაში წარმოდგენილი არიან, როგორც ჩვენი სულები. ამას მოჰყვა ის, რომ ამგვარმა სულებმა შექმნეს აზროვნების ვეებერთელა გაერთიანება – მენტალური სამყარო, რომელსაც უნდა შეექმნა სამყაროები და ემართა ისინი. ამგვარი ვეებერთელა მოაზროვნე გაერთიანების არსებობას ადამიანები კარგად გრძნობენ და მას უწოდებენ ღმერთს.

ამგვარად დავიწყოთ სულისა და მისი ფუნქციების განმარტებები. სული წარმოადგენს მენტალური ნაწილაკებისაგან ცოცხალი არსებებისათვის საჭირო სხეულების შექმნას და მათი მართვის განხორციელებას. ღმერთი არის გონიერი სულების მიერ შექმნილი გაერთიანება.

საჭიროებისთანავე, მენტალური სამყაროდან მოხდა ნაწილი სულების გამოფრქვევა და ცალკე სამყაროს შექმნა, ე. ი. გაჩნდა სულების ორი სამყარო, რომელთაგან ასტრალური სულები წარმოქმნიან რიგით ადამიანებს, ხოლო მენტალური სულები წარმოქმნიან მაღალი აზროვნების ადამიანებს, რომლებიც კაცობრიობას ეხმარებიან აზროვნების განვითარებაში.

განვიხილოთ სულის სტრუქტურა. ადამიანის არსებობაში სულს უკავია ერთ-ერთი ძირითადი ადგილი. სული არის აზროვნების საშუალება.

სული არის სხეულის შინაგანი სტრუქტურისა და გარეგანი მოქმედების მართვის საშუალება. საამისოდ სულს გააჩნია 7 განყოფილება: აზროვნების ცენტრი, თვისებების განყოფილება, თანამედროვე შეგნების განყოფილება, რეინკარნაციის განყოფილება, სხეულის შინაგანი სტრუქტურის მართვის განყოფილება, ანუ პირველი სამშვინელის განყოფილება, სხეულის მოქმედების განყოფილება, ანუ მეორე სამშვინელის განყოფილება, ბედისწერის განყოფილება.

აზროვნების ცენტრში თავს იყრის ინფორმაციის სხვადასხვა გზით – მხედველობით, სმენით, ყნოსვით, გემოვნებით, შეხებით და კიდევ სულიერი გრძნობით სხეულის შინაგანი სტრუქტურიდან და რეინკარნაციული განყოფილებიდან წამოსული იმპულსები.

მეორე განყოფილება წარმოადგენს ყველა არსებული თვისების საცავს, რომელთაგან თანამედროვე ინკარნაციაში მონაწილეობენ მხოლოდ ის თვისებები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება ბედისწერით.

მესამე განყოფილება თავისთავში აგროვებს ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც ცხოვრების მანძილზე ეძლევა და რომელსაც სიკვდილის წინ გადასცემს რეინკარნაციულ განყოფილებას.

რეინკარნაციული განყოფილების ფუნქციაა სულის მიერ ყველა განვლილ რეინკარნაციაში მოპოვებული მასალების დაგროვება.

მეხუთე განყოფილება, რომელსაც ჰქვია სამშვინელის განყოფილება, მაგნიტური სხივების საშუალებით, სულს აკავშირებს სხეულთან გულის მეშვეობით და არეგულირებს სხეულის შიდა ორგანოების მართვას.

მეექვსე განყოფილებაში მაგნიტური სხივის საშუალებით უკავშირდება სხეულის ნერვული სისტემის ცენტრს და მართავს სხეულის მიერ შესრულებულ ფიზიკურ მოქმედებებს.

მეშვიდე ბედისწერის განყოფილების ფუნქციაა ადამიანს უფლება დართოს იმ მოქმედებების შესასრულებლად, რომლებიც გათვალისწინებულია ბედისწერის პროგრამით.

მენტალურმა სამყარომ შექმნა კიდევ ერთი სამყარო – სამშვინელთა სამყარო, რომელშიც არსებობენ სამშვინელები, როდესაც ისინი სხეულში არ იმყოფებიან.

სული წარმოადგენს მენტალური სამყაროსაგან შექმნილ სხეულს. მენტალური სამყარო მას ანიჭებს სხვადასხვა უნარს.

კერძოდ, სულის ფუნქციებია: საპირისპირო მოსაზრებების საფუძველზე ჭეშმარიტების ძიება, სრულფასოვანი აზროვნების პროცესების ჩატარება, ადამიანის შინაგანი პროცესების მართვა, ადამიანის გაზრდა, ადამიანიც ცხოვრების წარმართვა მისი ბედისწერის შესაბამისად.

ადამიანის ინკარნაციული შეგნების, ანუ შინაგანი ბუნების გამდიდრება და მაშასადამე ცათა სასუფეველში, ანუ მენტალურ სამყაროში გადასვლა.

ფ. მ. დოსტოევსკის მიხედვით, ,,ადამიანის მთელი ცხოვრება, პირადულიც და საზოგადოებრივიც, დგას სულის უკვდავების რწმენაზე. ეს არის ზეუმაღლესი იდეა, რომლის გარეშეც არც ადამიანს და არც ხალხს არსებობა არ შეუძლია“.

ასეთია მსოფლიო მეცნიერების ბრწყინვალე წარმომადგენლების, აკადემიკოს ლერისონის, ბუშეს, სვედენბერგის, ოლკოტის, ბლავატსკაიას და სხვათა მოსაზრებები და კვლევები სულის შესახებ.

**(გაგრძელება იქნება)**

მასალები მოამზადა **გურამ ცერცვაძემ,** ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა.

# სკანვორდი



| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ორწვერა მწვერვალი | გურული ჩურჩხელა | | | საახალწლო ქართული ფილმი | | | | | | | ბოლი |
| | | | | | | | | | | | | ცეცხლის ენა | | | | |
| | | | | | | | ხარაგის იარაღი | ქალის სახელი | | უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული | | | | | აღმოსავლური ორთაბრძოლა | |
| | | | | | დუმბაძის გმირი | | | | | საკალანდო ატრიბუტი გურიაში | მატყლის ქსოვილი | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | ქალის სახელი | | | | მფრინავი თაგვი | | | | არშესარგი ლუკმა | |
| | | | | | | | | თაფლში ამოვლებული პური | | | | | | | | ქალაქი რაჭაში |
| | | | | მეექვსე ნოტი | | | | თვითმფრინავის სადგომი | | | | პარკოსანი მცენარე | | წყვდიადი | | |
| | ნამ კალის შეკვრა | | დედა აჭარულად | | | ბილიარდის ჯოხი | | ანბანის მე-19 ასო | | | | | | | | |
| | | | | | | | | საახალწლო ნუგბარი | | ბოლნისის საფეხბურთო კლუბი | | | | დიდი თევზი | | ჩამონათვალი |
| | | | | | | | | | | | | მამაკაცის სახელი | | გაზაფხულის ყვავილი | | |
| | ძვირფასი ქვა | სახის გამაგრილებელი | | ნიადაგის ტიპი | ანბანის მე-3 ასო | | | | | | | | საახალწლო საჩუქრების მომტანი | | | |
| | | | | | ღვინის ჩამომსხმელი | | | რძის ნაწარმი | | | საქორწინო ტახტი | | | | ღვინის და არყის ვაჭარი | |

## № 50-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე - როჯერო ლეონკავალო; დაბა ხაშურში -აგარა; ქალის სახელი - ირა; საზღვარი - სამანი; სამხრეთ ამერიკული ცეკვა - სამბა; ეთიოპიის დედაქალაქი -ადის აბება; ილია მოფერებით - ილო; იტალიელი მომღერალი ქალი - კარა; პირველი ადამიანი კოსმოსში - გაგარინი; კატა - ფისო; სამთო კურორტი - ბახმარო; უთავო მხედარის ავტორი - რიდი, იალქნიანი გემის სახეობა - გალიონი; მამაკაცის სახელი - გოგა; ღია აივანი - ბანი; რძის ნაწარმი - ერბო; მეოთხე ნოტი - ფა; მაგნიტური რკინაქვა - მაგნეტიტი; დიდი ციგა - მარხილი; ციური სხეულის მოძრაობის გზა -ორბიტა, სოლო ოპერაში - არია; სარკინოზი - არაბი; ფრანგი მწერალი - ბუვიე; ფილიპე მახარაძის გაზეთი - ელვა; ჭრილობის მოსაშუშებელი წამალი - მალამო; ანბანის ბოლო ასო - ჰ; უსიერი ტყე ციმბირში - ტაიგა; ქალაქი რაჭაში - ონი; რუსული მოტოციკლი - იავა; შემფასებელი ჯგუფი - ჟიური; ტუბერკულოზის ჩხირის აღმომჩენი - კოხი; სპონსორი - მეოხი; სუბტროპიკული მცენარე - ჩაი; გიორგი შემოკლებით - გია; სარეცხი ფხვნილი - აინა.

# „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო“ – ზღაპარივით დასამახსოვრებელი პროექტი

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში წარმატებით განხორციელდა სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მეთოდური განყოფილების პროექტი „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო“ (პროექტის ხელმძღვანელი ნაილი გრძელიძე). გთავაზობთ ანოტაციებს ჯუმათის, ბაილეთისა და ნასაკირალის საბავშვო ბაღებში გამართული წარმოდგენებიდან.**

## „სოფლის მაშენებლებმა“ ჯუმათში გზის, წყლისა და გაზის შეყვანა ითხოვეს




ჯუმათში დიდხანს არ დაავიწყდებათ პროექტის ფარგლებში ამ სოფლის საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა წარმოდგენა „სოფლის მაშენებლები“. საინტერესოდ განსახიერებულ სახეებსა და ჯუმათურ სალიუმორიან გარდასახვებსა სამხმოვან იმპროვიზაციებს რომ თავი დავანებოთ, მარტო ის რად ღირს, რომ პერსონაჟებმა ზღაპრიდან პირდაპირ რეალობაში ისკუპეს და ხელმძღვანელობას სოფელში გზის, წყლისა და გაზის შეყვანა თხოვეს. თავის მხრივ, ხელმძღვანელობას დიდი ძალისხმევა დასჭირდება, რომ „სოფლის მაშენებელი“ მომავალი თაობის პრიორიტეტად მიჩვეულ ამ სამ პროექტს მისცეს მწვანე შუქი. საჭიროების შემთხვევაში, მორიგი წარმოდგენით აქაური პატარები გვიჩვენებენ რა სხვაობაა თხოვნასა და მოთხოვნას შორის.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ: **ბარბარე დონდოლაძე, დათუნა კბილიანაშვილი, მათე ჩხარტიშვილი, ელენე მეგრელაძე, თორნიკე ჩხარტიშვილი.**

საბავშვო ბაღის მენეჯერია — **თამთა კავსაძე,** აღმზრდელი — **მარინა ზაქარიაძე,** მუსიკის მასწავლებელი — **თამილა ხავთასი.**

## ბაილეთში მგელ ბუქუნას დაბადების დღე გადაუხადეს

„მგელი ბუქუნას დაბადების დღე“ — ასე ჰქვია სოფელ ბაილეთის საბავშვო ბაღის მიერ პროექტის ფარგლებში მომზადებულ სპექტაკლს. ბაილეთელებს სცენური ხელოვნება რომ შესანიშნავად ხელეწიფებათ, ეს მათ წინა პროექტებში მონაწილეობითაც დაამტკიცეს. ამჟამინდელმა წარმოდგენამ კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მოკლედ რომ ვთქვათ, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ მგელ ბუქუნას უკეთეს დაბადების დღეს ვერსად გადაუხდიდნენ.



მოქმედი პირნი და შემსრულებლები: მგელი - **გაბრიელ დარჩია,** წითელქუდა — **ბარბარე თევდორაძე,** გოჭები — **ნიკოლოზ დარჩია, საბა დარჩია, ალექსანდრე კილურაძე, ანდრია ფუტკარაძე;** კურდღლები — **ნია ზაქარიაძე, ანანო ზაქარიაძე, ბარბარე ქათამიძე, კესო სვანიძე,** დედა — **ელისაბედ ზაქარიაძე,** ბეკეკა — **ნინო დარჩიძე, ლიზი ზაქარიაძე;** თაგვი — **ანასტასია გიორგაძე,** მელა — **მარიამ გორგაძე,**

საბავშვო ბაღის მენეჯერია **ლუიზა ზაქარიაძე,** აღმზრდელი — **ნათია აროშიძე,** მუსიკის მასწავლებელი — **რუსუდან ბოლიშვილი.**

## ვარსკვლავთცვენა ნასაკირალის საბავშვო ბაღში




„ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო“ კი არა, ნამდვილ იყო და ნამდვილ არის: ნასაკირალის საბავშვო ბაღში ვარსკვლავთცვენა გრძელდება: ამჯერად თავიანთი ხელოვნება გვიჩვენეს სასკოლო მზაობის ჯგუფ „ვარსკვლავების“ წევრებმა, რომლებმაც ზღაპარ „კონკიას“ ორიგინალური ინსცენირებით დაამტკიცეს, რომ ვარსკვლავებივით ანათებენ და ელავენ. თუ ამ ბავშვების მზარდ გასაქანს გავითვალისწინებთ, დაბა ნასაკირალში დასაჩქარებელია ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელსაც ექნება ყველანაირი ინფრასრუქტურა, მათ შორის უფრო დიდი და სრულაქსესუარული სცენა. ნასაკირალელი ბავშვები ამას ნამდვილად იმსახურებენ.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ:

კონკია — **მაკა ვანაძე,** დედინაცვალი — **მარი ირემაძე,** დედინაცვლის შვილები - **ლიზი ბერიძე, ლიზი ბერიძე** (ორი გოგონა ერთი და იგივე სახელითა და გვარით); მეფე — **ნიკა ნაკაიძე,** დედოფალი — **თათია მურმანიძე,** უფლისწული — **შოთიკო ვანაძე,** კეთილი ფერიები — **მაკა ვანაძე, ჯუნა გორგაძე, სარა ლაზიშვილი;** ფერიას მეგობრები — **ომარ ართმელაძე, მინდია მურმანიძე, დიეგო ტაკიძე;** ვეზირები — **ნიკოლოზ ქვირია, დაუდ ბექაძე, ლუკა ბერიძე, მიშიკო ირემაძე;** სტუმრები ჩინეთიდან — **ლოლიტა გორგაძე, მარი ტაკიძე;** ბოშების ოჯახი — დედა **მერი ანთაძე** (აღმზრდელი), შვილები — **ლუნა ბერიძე, ქეთი რამიშვილი;** მეფის ამალა — **გიორგი ძირკვაძე, გიორგი ხარაბაძე, ზუზუ პაიჭაძე, ბექა ბერიძე, საბა მურმანიძე, საბა მგელაძე, საბა ანთაძე.** მთხრობელი — **თათია მახარაძე.**

პროექტის მომზადებაში მონაწილეობდნენ: ჯგუფის აღმზრდელები — **ნონა კუპატაძე, ზინა თავაძე;** მუსიკის მასწავლებელი — **დარეჯან დოლიძე,** აღმზრდელის ასისტენტი — **მზია კონცელიძე.**

ცეკვები მოამზადა — **ინგა ბერაძემ და მერი ანთაძემ,** მხატვრული შემოქმედება — **ქეთევან პაიჭაძე** (აღმზრდელის თანაშემწე).

# ძველი ოზურგეთის ქრონიკები

## ქალაქის ბაღები

ნაარსიანია .გაიმართება სხვადასხვა სამხიარულო თამაშობანი,ბაღში დაუკრავს პირველდაწყებითი სასწავლებლის მუსიკა, იმღერებს გურულ მომღერალთა ხორო,დაუკრავს ჩონგურზე საუკეთესო მეჩონგურე, იჭიდავებს მოჭიდავენი „საიდუმლო ვაზა“, „მორთული კარავი“,მშვენიერი ქალები „ჩიხტებად“, „სიკინჭილა“, სოფლის დედაკაცი „გარმონიკათი“, „მთარგმნელი ქალი“, არაჩვეულებრივი ფეიერვეკები,უფულოდ გამდიდრება,ნიშანში სროლა,ბავშვებით სეირნობა ვირზე, ყვავილებით შეჯიბრება ქალებს და კაცებს შორის ,სხვადასხვა გართობები,ფოსტა.ცეკვა სეირნობის გამგეთ არჩეულია ქალბატონი ნაკაშიძე-ვოსკრესენსკაია, ზემოთხსენებული საღამო ნაცვლად 22 მასისა გაიმართა 5 ივნისს,სახალხო სეირნობა ჩინებულად ჩატარდა ....სეირნობის შემოსავალმა ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა,წმინდა შემოსავალი 700 მანეთამდე დარჩა სამკითხველოს.დაჭრილების სასარგებლოდაც გადაიდო რამდენიმე თუმანი. გასულ წლეებში კი შემოსავალი 250 მანეთს არ გასცილებია. შინაარსითაც კარგი იყო სეირნობა,უკრავდა მოწაფეთა მუსიკა, მშვენივრად მღეროდა გურულ მომღერალთა ხორო,იყო სხვა გასართობიც“.(გაზეთი „თანამედროვე აზრი“,1916 წ 17 მაისი). ქალაქის ცენტრში არსებული ბაღის შესახებ ცნობილი საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნინო ნაკაშიძის მოგონებიდან ვგებულოთ: „მოთმინება არ მყოფნიდა არ მენახა ჩემი სათაყვანებელი ქალაქი,ყველაზე უწინ გავემართე ქალაქის ბაღის სანახავად,მთელი ჩემი ბავშვობა ამ ბაღთან იყო დაკავშირებული ,მიყვარდა ლამაზი ფართო ფოთლებიანი დიდრონი ჭადრები,მაღალი წიფლები, ასკილის ბუჩქები ,თუთის ხეები რცხილებიცა. აქ იყო მსუბუქი შენობა „როტონდა“, სადაც ადგილობრივი სცენის მოყვარულები წარმოდგენებს მართავდნენ.ციხე ისევ იდგა და გადაჰყურებდა ქალაქს. ბაღის ქვემოთ აღარ იდგა ის ორი ეკლესია ქართული და რუსული.იმათ ადგილას ხარობდა ციტრუსოვანი ლამაზი ბაღი მანდარინისა და მაგნოლიის ხეებით დამშვენებული.შიგა და შიგ ბაღში ჩადგმული იყო ხის ზურგიანი სკამები მოსეირნეთა დასასვენებლად. აღარ იყო ის ფარდულიც,სადაც ერთ დროს აბრეშუმის ჭია ჰყავდათ დასმული,ვის ჰყავდა არ ვიცი,მაგრამ მიხაკო ახალაძე,რომ უვლადა და ჩვენ სკოლის ბავშვები ვეხმარებოდით თუთის ფოთლების დაჭრაში და ჭიის დაპურებაში, კარგად მახსოვს კვირაობით ბავშვები ამ ბაღში ვიკრიბებოდით და ვერთობოდით.ბაღში ბევრი სხვადასხვა შინაარსისა და ხასიათის კრებები და ღონისძიებები ტარდებოდა.ამ ბაღში გაიმართა რომანოვების მეფობის 300 წლიანი თარიღის აღნიშვნა და სადილი ღარიბებისათვის“(ნინო ნაკაშიძე“ მოგონებები გურიაზე“ ო.ი.მ.ს.533)

## ხუნდაძის ბაღი

ოზურგეთში „სერის უბანში“, გაშენებული იყო ძალიან ლამაზი ბაღი, რომელიც „ხუნდაძის ბაღის“ სახელით არის ცნობილი. №1 საჯარო სკოლის ყოფილი მასწავლებლის 92 წლის ქალბატონ ლუბა კილურაძის გადმოცემით: „ბაღი მოიცავდა ტერიტორიას მდინარე ბჟუჟის ნაპირამდე, ყოფილი საბავშვო სახლის ტერიტორიას, მისი დამხმარე მეურნეობითმინადორა გოგიჩაიშვილის ეზომდე. ეზოსთან ახლოს იდგა მაგნოლიის ხე.ამ ბაღიდან დღეს ეს მაგნოლიაა შემორჩენილი, ბაღში გაკეთებული იყო ტბორი და მოშენებული ჰყავდათ ულამაზესი გედები.“

პროვიზორ აწ განსვენებულ სიმონ უჯმაჯურიძის მოგონება:“ „ხუნდაძის ბაღი“ასე ერქვა ცნობილი ფარმაცეპტის, გურიაში ფარმაციის საქმის განვითარების მესვეურის ვასილ ხუნდაძის მიერ თავის დიდ ეზოში გაშენებულ ბაღს, რომელის ფრანგ დეკორატორს გააშენებინა და განთავსებული იყო 0,5 ჰექტარზე.ბაღი შემოღობილი იყო ქვითკირის ღობით.ეზოს ჰქონდა დიდი ჭიშკარი.ბაღი შაბათ-კვირას ღია იყო და ოზურგეთის საზოგადოება ამ ბაღში ისვენებდა და ატარებდა დროს. ბაღში ხშირად ეწყობოდა კონცერტები, ატრაქციონები.იგი ერთ-ერთი უმშვენერიესი იყო ოზურგეთში. აღნიშნული ბაღის ტერიტორია 1937 წელს გადაეცა მახარაძის საბავშვო სახლს, რომელიც მოგვიანებით მისი დამხმარე მეურნეობა იქცა“.

## თუმანიშვილის ბაღი

1897 წელს გურიაში მყოფი ცნობილი ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია თუმანიშვილის ბაღის შესახებ წერდა: „ისეთი ბაღი ,რომელიც მართლა კულტურა ეტყობა ერთია ოზურგეთში.ეს გახლავთ აქაური მკვიდრის ი.თუმანიშვილისა.ამ ბაღის ხეხილისა და აგრეთვე დეკორატიულ მცენარეებსაც მოსიყვარულე და მცოდნე პატრონოს ხელი ატყვია“.(თ.სახოკია „მოგზაურობანი“.ბათ.უმი 1987 წელი, გვ.34).

ასეთი გახლავთ ქალაქ ოზურგეთის ბაღების მოკლე ისტორია.

**მანანა ლომაძე**

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი.

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 27 დეკემბერი ოთხშაბათი | 28 დეკემბერი ხუთშაბათი | 29 დეკემბერი პარასკევი | 30 დეკემბერი შაბათი | 31 დეკემბერი კვირა | 1 იანვარი ორშაბათი | 2 იანვარი სამშაბათი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, ღრუბელი | მზე, ღრუბელი | მზე | მზე, ღრუბელი | მზე ღრუბელი | მცირე წვიმა | წვიმა |
| +4+13 | +6+14 | +7+14 | +7+14 | +5+11 | +3+8 | +3+4 |



**გილოცავთ შობა-ახალ წელს!**

გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, კეთილდღეობას თქვენ და სრულიად საქართველოს. ფეხბედნიერი ყოფილიყოს ახალი 2018 წელი თითოეული ოჯახისთვის. სიკეთე და ბედნიერება დაგბედებოდეთ!

**გიორგი ღურჯუმელიძე**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე



**ძვირფასო ოზურგეთლებო, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!**

ყოველი ადამიანი განსაკუთრებული მოლოდინით ხვდება ახალი წლის დღესასწაულს. გისურვებთ, 2018 წელი ყოფილიყოს ერთ-ერთი დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი თითოეული თქვენგანის ცხოვრებაში. ასევე, ბარაქით, სიკეთით, სიხარულითა და ბედნიერებით დატვირთული სრულიად საქართველოსთვის!

**მაია ზოიძე,**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი



მოგესალმებით და გილოცავთ დამდეგ 2018 წელს! სიხარულისა და ბედნიერების, ხვავისა და ბარაქის მომტანი ყოფილიყოს იგი ყოველი თქვენგანისათვის, აგხდენოდეთ ყველა ოცნება, გაგმართლებოდეთ იმედი, გქონოდეთ ფუძე მაგარი და ჭერი მაღალი!

**გელა (ტარიელ) აროშიძე**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე



სულითა და გულით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს, სიკეთეს, ბედნიერებას. დაგბედებოდეთ ნატვრის ახდენა, იმრავლეთ და იბედნიერეთ!

**ლავრენტი ბიგვავა,**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის კომისიის თავმჯდომარე

**ჩემო ძვირფასო თანასოფლელებო!**

გილოცავთ დამდეგ შობა–ახალ წელს და გისურვებთ, რომ 2018 წელი ყოფილიყოს ხვავით, ბარაქით, სიკეთით, სიხარულით, სიყვარულით, ბედნიერებით დატვირთული წელი თითოეული თქვენთაგანის, მთლიანად საქართველოს და სრულიად სამყაროსათვის!

განვლილი 2017 წელი უზარმაზარი ცვლილებების წელი იყო პირადად ჩემთვის და ულრმესი მადლობა ყველას, ვისაც ამ ცვლილებებში წვლილი მიუძღვის! უდიდესი მადლობა თქვენ ჩემო ძვირფასო ცხემლისხიდლებო და ბაღდადლებო! ჩემო დიდი ხნის თუ ახალშეძენილო მეგობრებო იმ უდიდესი ნდობისთვის, სითბოსა და სიყვარულისთვის, რომელსაც მუდმივად ვგრძნობდი თქვენგან.

ყველანი მიყვარხართ, მეამაყებით და მეიმედებით!



**ლალი სიჭინავა,**

სოფ. ცხემლისხიდის საჯარო სკოლის დირექტორი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი

ჩემო ძვირფასო, საყვარელო, არაჩვეულებრივო ადამიანებო, მეგობრებო, ერთგულო თეატრალებო, გურულებო!

**გილოცავთ ახალ 2018 წელს!**

გისურვებთ 2018 ყოფილიყოს თქვენი ყველაზე თამამი და სანუკვარი ოცნებების ახდენის წელიწადი, შეეტანოს ხვავი და ბარაქა თითოეული თქვენთაგანის ოჯახში, გაეძლიერებინოს ჩვენი ქვეყანა და ასევე, გაეძლირებინოს თქვენი ინტერესი თქვენივე ერთადეთი სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებისადმი. ჩვენ საინტერესო პრემიერებსა და ფესტივალებს გპირდებით.

ოზურგეთის თეატრი 2018 წელს დაარსებიდან 150 წლის იუბილეს აღნიშნავს. ერთად ვიზეიმოთ იუბილე.

სიყვარულით და პატივისცემით



**ვასო ჩიგოგიძე,**

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი




**შპს „ვასაძის პური“ გილოცავთ დამდეგ შობა–ახალ წელს!**

**სს „ტრანსსერვისი“ გილოცავთ ახალი წლის მობრძანებას!**



**ტაქსი გამოძახებით**

**ტელ: 0 (496) 275544; 0790 554455**




**სს „იმედი“ გილოცავთ შობა–ახალ წელს და გიწვევთ საახალწლო ვაჭრობაზე.**

მის: ქ. ოზურგეთი, ჭანტურიას ქ. №5



**ჩვენო პატარა მაყურებლებო!**

თოჯინების თეატრი გილოცავთ შობა–ახალ წელს. ეს წელი ყოფილიყოს თქვენთვის სურვილების ასრულების წელი.

თქვენთვის საყვარელი თეატრი კვლავაც გაგახარებთ ახალი წლის დღეებში და წარმოგიდგენთ საახალწლო გასართობ შოუ–პროგრამას 2, 3, 4, 5, 7 იანვარს.

დასაწყისი 12 საათზე.